უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

04/09/2026

MES 6 26 0001154804

გადაწყვეტილება

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ - ს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადში (2026 წლის 29 ივნისის №1267 წერილი, ცენტრში რეგისტრაციის №817186) ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 89-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, 90-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 91-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუ -ს (ს/კ: 208215509) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 16 400 - ით. მათ შორის, "მედიცინის" ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე - 9 700.
2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 4 სექტემბერს.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 04 სექტემბრის №1148060 სხდომის ოქმის №01 ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ - ს შესახებ, ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64)

მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
ბერიაშვილი რიმა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
გონაშვილი ვასილ